შესყიდვის მიზანი

WAM-ის პროექტის განსახორციელებლად გაძლიერებული მონაცემების მქონე პლანშეტური კომპიუტერების შესყიდვა, რომლებიც გამოყენებული იქნება საველე სამუშაოებისათვის.

WAM-ის პროექტის მიზანია სსე-ს ბალანსზე რიცხული აქტივების, ტექნიკური მომსახურეობის და სარემონტო სამუშაოების მართვის პროგრამის დანერგვა.

აღნიშნული პროგრამის საშუალებით განხორციელდება ძირითად საშუალებებზე ჩასატარებელი სამუშაო პროცესების კომპიუტერული დაგეგმვა, მართვა და მონიტორინგი და ასევე ძირითადი აქტივების სხვადასხვა პარამეტრების ანალიზის შედეგად მათი დარჩენილი ექსპლუატაციის ვადის განსაზღვრა.

აღნიშნული პროგრამის დანერგვის პროცესში შეიქმნება სსე-ის ძირითადი აქტივების ერთიანი ელექტრუნული მონაცემთა ბაზა.

WAM-ის პროგრამა ხელს შეუწყობს ძირითადი აქტივების მონიტორინგს და გააუმჯობესებს სამუშაო პროცესებს დროისა და ენერგიის დაზოგვით.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მოთხოვნები მწარმოებლებთან

- შემოთავაზებული ტექნიკის მწარმოებელ კომპანიას უნდა ჰქონდეს მოთხოვნილი ტექნიკის სფეროში წარმოების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.
- მინიმუმ 3 წლიანი მწარმოებლის გარანტია.
- შემოთავაზებულ ტექნიკას საქართველოში უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი ავტორიზებული სერვის ცენტრი.

მოთხოვნები მომწოდებლებთან

- პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება შესაბამის სფეროში საქართველოში.
- პრეტენდენტმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ბოლოს 3 წლის განმავლობაში შემოთავაზებული მწარმოებლის ანალოგიური ტექნიკის გაყიდვის 3 ხელშეკრულების მონაცემები (სასურველია ხელშეკრულების ასლი და მიღება ჩაბარების აქტი).
- პრეტენდენტ კომპანიას უნდა გააჩნდეს მწარმოებლის ავტორიზაცია მოსაწოდებელ პროდუქციაზე, ე.წ. MAF - Manufacturer Authorization Form.
- პრეტენდენტის მიერ მოწოდებული პროდუქციის ტექნიკური პარამეტრები უნდა შეესაბამებოდეს მწარმოებლის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებულ ტექნიკურ პარამეტრებს ან მწარმოებლის ოფიციალურ ტექნიკურ დოკუმენტაციას.
- მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 სამუშაო დღეში;

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის ავტორიზაციის ფორმა ე.წ. MAF - Manufacturer Authorization Form.
- მწარმოებლის ოფიციალური წერილი საქართველოში მინიმუმ ერთი ავტორიზებული სერვის ცენტრის არსებობის შესახებ, ან საჯაროდ გამოქვეყნებული ვებ.გვერდის მისამართი სადაც დადასტურდება მოთხოვნილი ინფორმაცია.
- პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ფასების ცხრილი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის ზუსტ დასახელებას, მოდელს, წარმოშობის ქვეყანას და სპეციფიკაციას.
- პრეტენდენტმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული ტექნიკის მომსახურებაზე სერთიფიცირებული ინჟინრის სერტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აპარატურის ტექნიკური მახასიათებლები

დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა

პლანშეტური კომპიუტერი ან ლეპტოპი-ტრანსფორმერი (360 ° გახსნის კუთხით)	პროცესორი	ოთხბირთვიანი, i5 ან ანალოგიური, საბაზისო სიხშირე არანაკლები 2,8 GHz ან მეტი (დასაშვებია მინიმალური საბაზისო სიხშირე - 2,5 GHz , როცა Boost რეჟიმში სიხშირის გაზრდა შესაძლებელი იქნება არანაკლებ- 3,1GHz -მდე);	112
	ოპერატიული მეხსიერება	არანაკლები 8GB;	
	მყარი დისკი	SSD ტიპის, მოცულობა: არანაკლები 256GB;	
	ეკრანი	დიაგონალი 13,3” დან - 14,5 მდე ; გაფართოება არანაკლები FHD 1920 x 1080; უნდა იყოს touchscreen, მინიმუმ 10-point multitouch მხარდაჭერით;	
	კამერა	720p HD ინტეგრირებული მიკროფონით;	
	პორტები	მინიმუმ 3 ცალი USB 3.0; HDMI; SIM card; RJ45-ის (RJ45-mini-ის შემთხვევაში, უნდა მოჰყვებოდეს გადამყვანი) მიერთების საშუალება;	
	ელემენტის ტიპი	Li-Polymer, 4 cell, არანაკლები 56Wh მოცულობის;	
	დამტენი	უნდა მოყვებოდეს კომპლექტში არანაკლები 65W.	
	ოპერაციული სისტემა	უნდა მოყვებოდეს Windows 10 Pro ლიცენზირებული ოპერაციული სისტემა.	
	კომუნიკაციის საშუალება	WLAN, LAN 1GB/s; Bluetooth® 4.1; უნდა ჰქონდეს SIM-ის მხარდაჭერა WWAN (3g/LTE).	
	კომპლექტაცია	კომპიუტერს უნდა მოყვებოდეს ჩასადები, რომელიც მას პლანშეტურ მდგომარეობაში (ლეპტოპის 360 ° გახსნის დროს) დაიცავს გარე ან ფიზიკურ ზემოქმედებისგან.	

დანართი 1

N	მოსაწოდებელი საქონლის ან მომსახურების დასახელება	მწარმოებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	პლანშეტები		112		
	სულ ჯამური ფასი				